ვინც იტყვის: კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ღმერთით, ისლამით, როგორც რელიგიით და მუჰამმადით, როგორც შუამავლით, მისთვის სავალდებულო გახდება სამოთხე

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც იტყვის: კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც ღმერთით, ისლამით, როგორც რელიგიით და მუჰამმადით, როგორც შუამავლით, მისთვის სავალდებულო გახდება სამოთხე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ ვინც იტყვის: კმაყოფილი ვარ ალლაჰით, როგორც უფლით, ღმერთით, ვინც გვასაზრდოებს ყოველივეთი, მფლობელით, ბატონითა და გამომსწორებლით; – და ისლამით, მისი ყველა ბრძანებითა და აკრძალვით, როგორც სარწმუნოებით, რელიგიითა და კანონით, რწმენითა და მორჩილებით; და მოციქული მუჰამმადით, როგორც ალლაჰის მოციქულითა და წინასწარმეტყველით, ყველაფრით, რითაც ის წარმოიგზავნა და ჩვენამდე მოიტანა; – მაშინ, მას ჯოჯოხეთი არ შეეხება და სამოთხეში შესვლა აუცილებელი გახდება მისთვის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65906